



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27223346

თარიღი:30/11/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55**

**„30“ ნოემბერი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა“ ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის თანახმად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნა და საკრებულოს ფრაქციების და უფრაქციო წევრების კომისიებში განაწილების პროპორციული კვოტების დადგენა, კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა“

1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

**„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნის შესახებ“**

2. განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

**„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად“.**

3. განკარგულებიდან ამოღებულ იქნეს მუხლი 2 და მუხლი 3.

4. განკარგულების მუხლი 4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე“.**

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზ მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

